Rustavis korpusi Digitally signed by Rustavis korpusi Date: 2019.01.17 11:24:24 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7

ქ. რუსთავი **17**
იანვარი 2019 წ.

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად ლაბაძის** სახით და მეორეს მხრივ **სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო“** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი **მისი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით**, „სახელმწიფო შესაყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს **ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“-ს ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტომობილისათვის სატრანსპორტო საშუალებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV 50100000)** დანართი №1-ის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **278.00 (ორასსამოცდათვრამეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს;

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიწოდების ადგილი - შეთანხმებით მიმწოდებლის მიერ მითითებულ ადგილზე;

4.2. მომსახურების მიწოდების ვადა - არაუგვიანეს **2019 წლის 25 იანვრის** ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი: **ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად ლაბაძე.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **<u>აარპ ,,რუსთავის კორპუსი“-ს შესყიდვების სპეციალისტი თემური ალადაშვილი</u>**;

7.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია;

ა)მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება,

ბ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

გ) ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზისა და ნაკლოვანებების გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებული დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

10.3. ხელსეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;
10.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **01,03,2019 წ-მდე.**

შემსყიდველი
ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“
მის: ქ. რუსთავი, მესხიშვილის №3ა
ს/კ 416289536
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

……

მიმწოდებელი
სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო“
მის: დ. აღმაშენებელის ხეივანი მე-12 კმ
ს/კ: 204478948
TBC-ბანკი, მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი:220101850
ა/ა GE15 TB11 0000 0110467697 (ლარი)

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2019.01.17 12:37:44 +04'00'
……

დირექტორი
ზვიად ლაბაძე

დირექტორი
დავით გიორგობიანი

დანართი №1

ფასების ცხრილი

რგითი №	Hyundai Accent FC524CF	ერთეული	რ-ბა	თანხა	მომსახ
1	საბურავის სამაგრი გაიკა	ც	1	5,00	
2	BOLT - HUB	ც	1	5,00	
3	SIG001-სიგნალიზაცია	ც	1	125,00	
4	154172 ნათურა (გაბარიტის)	ც	1	3,00	
5	შპილკის და გაიკის შეცვლა				50,00
6	შიტოკის მ/დ				90,00
	ჯამი			138,00	140
	თანხა			278,00	

შემსყიდველი _____

მიმწოდებელი _____